პროექტი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №__

2022 წლის __ მარტი

ქ. წყალტუბო

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი“-ს მიერ 2021 წლის III –IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოისმინა ანგარიში, ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი“-ს მიერ 2021 წლის III –IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

აღინიშნა, რომ წარმოდგენილი ანგარიში შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და სათანადო დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N36 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 25–ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს ა(ა)იპ „ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი“-ს“ ანგარიში 2021 წლის III –IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.
2. ა(ა)იპ „ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი“-ს“ მიერ 2021 წლის III –IV კვარტალში გაწეული მუშაობა შეფასდეს დადებითად.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

მოამზადა:
აპარატის უფროსი — გელა თათარაშვილი

შეთანხმებულია:
ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე — შალვა კილაძე

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
არასამეწარმეო (არაკომერციული იურიდიული პირი)
"წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი"

1

წერილის ნომერი: **13-482207560**
თარიღი: **16/03/2022**
პინი: **2366**

ადრესატი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარეს ,

ბატონ ,თეიმურაზ ჭეიშვილს.

ბატონო თემურაზ,

გიგზავნით 2021 წლის მე-3-4 კვარტალში , ა(ა)იპ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლის" მიერ გაწეული სამუშაოს ანგარიშს.

გიორგი ალიბეგაშვილი

ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი-
მმართველი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ა(ა)იპ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლის „

2021 წლის მე-3-4 კვარტალში, შესრულებული სამუშაოს

ანგარიში

მოგახსენებთ , რომ ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლში“ 2021 წელს ირიცხებოდა 190 ბენეფიციარი, . მათი კვება ხდება, დღეში ერთხელ, წელიწადში 365 დღე. მათ მომსახურეობას უწევს ა(ა)იპ-ის 10 თანამშრომელი.

სათნოების სახლის დაფინანსების წყაროს წარმოადგენს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები, 2021 წლის ბიუჯეტი შეადგენდა 249600 ლარს, აქედან მე-3-4 კვარტალში დაიხარჯა 133410 ლარი.

კვების რაციონს შეადგენს : კვირაში 5ჯერ ხორცის კერძი , წვნიანები , წიწიბურას, ბრინჯის და ვერმიშელის ფაფები, კვერცხი , ლობიო, მაკარონი , ყველი. 250 გრამი პური ერთ ბენეფიციარზე და ხილის კომპოტი.

ადამიანის დღიური კვების რაციონი უნდა იყოს 1700 დან 2500 კალორიამდე, ჩვენი ერთჯერადი კვების რაციონით, თითოეული ბენეფიციარი იღებს 1600 კალორიამდე , რაც მოგეხსენებათ საკმაოდ კარგი მაჩვენებელია.

მოგეხსენებათ 2021 წელს, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსული იყო , საქართველოს სახელმწიფო აუდიტი, რომელმაც მერიის სამსახურებთან ერთად საფუძვლიანად შეამოწმა ჩვენი სამსახურის ბუღალტრული დოკუმენტაცია და შესყიდვები, მათ დასკვნის საფუძველზე ჩვენს ა(ა)იპ- ში ყველაფერი რიგზეა, არ მიგვიღია არცერთი შენიშვნა.

მართალია 2021 წლის მე-3-4 კვარტალს არ ეხება , მაგრამ 2022 წლის თებერვალში შეგვამოწმა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლებმა, მათ დეტალურად მოიკვლიეს ჩვენი საქმიანობა, დაათვალიერეს დოკუმენტაცია, სამზარეულო , სასადილო დარბაზი, საწყობები და მაცივრები, მათგანაც ერთ შენიშვნასაც არ ქონია ადგილი, პირიქით, აღნიშნეს , რომ იმერეთის მასშტაბით ყველაზე მოწესრიგებული, სუფთა და ბენეფიციართა საჭიროებაზე მორგებულია ჩვენი მენიუ და საქმიანობა. რაც როგორც მათ აღნიშნეს წასვლისას დადებითად აისახება სახალხო დამცველის წლიურ ანგარიშში.

არსებული პანდემიის ფონზე, ჩვენს სამსახურს, ერთი დღითაც არ შეუწყვეტია საქმიანობა, პანდემიის დაწყების პირველივე დღეებიდან ,ავკრძალეთ ადგილზე კვება და

გადავედით გატანის სერვისზე, რითაც თავიდან იქნა აცილებული ბენეფიციართა მასიური დაინფიცირება, თუმცა სექტემბრის თვეში გვქონდა შემთხვევა , როდესაც 8 კაციანი სამსახურიდან 5 დაინფიცირდა ,აქედან ,ყველა სამზარეულოს პერსონალი, ამ მდგომარეობაშიც კი ერთი დღითაც არ შეგვიწყვეტია ბენეფიციართა კვება, მერიიდან მოვლენილი 2 დამლაგებელი და ჩვენ, დარჩენილი 3 თანამშრომელი ვამზადებდით საკვებს და ჩვენვე ვემსახურებოდით შინმოვლის პროგრამის ბენეფიციარებს 2 კვირის მანძილზე . სამსახურის ეფექტურ მუშაობაზე სხვა მრავალი მაგალითის მოყვანაცაა შესაძლებელი.

წარმატებით მუშაობდა და მუშაობს შინმოვლის პროგრამა ,რითაც გადაადგილების შესაძლებლობას მოკლებულ ბენეფიციარებისათვის სახლში მიგვაქვს საკვები, ასეთი გვყავს 20 ბენეფიციარი. აღნიშნული პროგრამა გათვლილია კვირაში 3 დღეზე ,თუმცა, შექმნილი პანდემიის ფონზე , ყოველდღიურად ვაწვდით საკვებს და სხვა სერვისებს .

2021 წლის ნოემბერში გამოვაცხადეთ 2022 წლის ბენეფიციართა კვებისათვის საჭირო ტენდერები, რომლებიც 2021 წლის დეკემბრის შუა რიცხვებში დამთავრდა , ასე , რომ 2022 წელს ბენეფიციართა კვებას საფრთხე არ ემუქრება.

2021 წელს იყო შემთხვევები ბუნებრივი აირის შეწყვეტის, ჩვენ კი მხოლოდ გაზქურაზე ვაკეთებდით საკვებს. მართალია ამით ბენეფიციართა კვებისათვის საფრთხე არ შეგვიქმნია რადგან წინასწარ ვიყავით გაფრთხილებული, მაგრამ აღნიშნული სიტუაციის თავიდან ასაცილებლად შევისყიდეთ ელექტროღუმელი , საკვების მოსამზადებლად

2021 წლის მე-3-4 კვარტალში ბენებიციართა კვებაზე დაიხარჯა 81147 ლარი

შრომის ანაზღაურებაში- 31767 ლარი

კომუნალურ ხარჯებში 2433 ლარი

ფიჭურ კავშირგაბმულობასა და ინტერნეტმომსახურეობაზე - 711 ლარი

2021 წლის სექტემბერში მუნიციპალიტეტის მერიამ გადმოგვცა ავტომობილი, ფორდ ტრანზიტი , შინმოვლის პროგრამისათვის, რომელიც გავრემონტეთ და დღესდღეობით გამართულად მუშაობს.

საწვავი და ავტომობილის მოვლა პატრონობაზე დაიხარჯა - 8025 ლარი.

პანდემიიდან გამომდინარე ყოველდღიურად გვესაჭიროება სამედიცინო სახარჯი მასალები (პირბადე, ხელთათმანი, სადეზინფექციო ხსნარები) ასევე ყოველკვირეულად

ვატარებთ შენობის სადეზინფექციო სამუშაოებს, ყოველივე ამისათვის დაიხარჯა- 352 ლარი

შენობა -ნაგებობის დაცვაზე დაიხარჯა 560 ლარი.

სანიტარული საგნების შეძენაზე დაიხარჯა 1936 ლარი,

საოფისე ტექნიკის შეძენაზე დაიხარჯა 533 ლარი. (ქვაბები, ჯამ-ჭურჭელი, კონტეინერები)

საკანცელარიო ხარჯი 347 ლარი.

საოფისე ინვენტარის შეძენა რემონტზე დაიხარჯა -400 ლარი.

არაფინანსური აქტივების გეგმა იყო 1200 ლარი დაიხარჯა 1199 ლარი , შეძენილ იქნა ელექტრო .

სულ 2021 წლის მე-3-4 კვარტალში დაიხარჯა 133410 ლარი.

უკრაინაში რუსეთის აგრესიის გამო ,შექმნილი ეკონომიკური კრიზის ფონზე შევიძინეთ და გადავწყვიტეთ მუდმივად ვიქონიოთ (მანამ სანამ კრიზისი არ აღმოიფხვრება) 3 თვის არამალფუჭებადი პროდუქტების მარაგი, რათა თავიდან ავიცილოთ რაიმე სახის პრობლემა ბენეფიციართა კვებაზე.

ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლის ეფექტური მუშაობის შეფასების კრიტერიუმია ჩვენი ბენეფიციარების კმაყოფილება. როგორც მერიის შიდა აუდიტის სამსახურის დასკვნაში ჩანს , ყველა გამოკითხული ბენეფიციარი კმაყოფილია .

სათნოების სახლი მუშაობს ყოველგვარი შეფერხების გარეშე.

ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის

სათნოების სახლის მმართველი

გიორგი ალიბეგაშვილი.

Tskaltubo Municipality Charity House

Digitally signed by Tskaltubo Municipality Charity House
Date: 2022.03.16 10:43:53 +04'00'